დუშეთის მუნიციპალიტეტის მერი

ბრძანება:**ბ132.132222449**

თარიღი:**01/09/2022**

დუშეთის მუნიციპალიტეტის ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამით განსაზღვრული ბიზნეს იდეების კონკურსის გამოცხადების თაობაზე

დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ივლისის N19 დადგენილებით დამტკიცდა „დუშეთის მუნიციპალიტეტის ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის განხორციელების წესი“, რომლის მე-10 მუხლის თანახმად ბიზნეს იდეების კონკურსს სამდივნოს წარდგინებით აცხადებს მერი, წინამდებარე დადგენილების გამოქვეყნებიდან არაუმეტეს 3 თვის ვადაში.

„დუშეთის მუნიციპალიტეტის ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამის საინფორმაციო კამპანიის და კომუნიკაციის გეგმის დამტკიცების თაობაზე“ მერის 2022 წლის 19 აგვისტოს N: ბ132.132222314 ბრძანებით განისაზღვრა პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი აქტივობების შემჭიდროვებული გრაფიკი, რომლის მიხედვითაც ბიზნეს იდების მიღება დაგეგმილია დაიწყოს 2 სექტემბრიდან.

დასახელებული წესის და დამტკიცებული გრაფიკის შესაბამისად, საკოორდინაციო სამდივნომ წარმოადგინა რეკომენდაცია მიმდინარე წლის 2 სექტემბრიდან გამოცხადდეს ბიზნეს იდეების კონკურსის გამოცხადების თაობაზე.

აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად

ვბრძანებ

1. გამოცხადდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის ოჯახების სოციალურ-ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერის პროგრამით განსაზღვრული ბიზნეს იდეების კონკურსი 2022 წლის 2 სექტემბრიდან;
2. საკონკურსო წინადადებების მიღება გაგრძელდეს 1 თვის განმავლობაში, 2022 წლის 2 ოქტომბრამდე;
3. ბიზნეს იდეების წარმოდგენა განხორციელდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 29 ივლისის N19 დადგენილების N2 დანართის სახით დამტკიცებული ფორმის გამოყენებით;
4. ინფორმაცია კონკურსის თაობაზე განთავსდეს დუშეთის მუნიციპალიტეტის ვებ-გვერდზე;
5. ბრძანება გაეცნოს საკოორდინაციო სამდივნოს და ძალაში შევიდეს გაცნობისთანავე

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, მცხეთის რაიონულ სასამართლოში, მისამართზე: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. N17.

მანანა ნარიმანიძე

დუშეთის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი